ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ინფორმაციაა მართებული ლურსმული დამწერლობის შესახებ?

ა) გავრცელდა ქვემო ეგვიპტეში ძველი სამეფოს ხანაში და ცოტა ხანში სახელმწიფოს ოფიციალურ დამწერლობად გამოცხადდა;

ბ) ჩინეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მოჰყვა უძველესი დამწერლობის სისტემის შექმნა;

გ) შეიქმნა შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებში, სადაც სამეურნეო საქმიანობა და მმართველობის სტრუქტურები ჩამოყალიბდა;

დ) ასურეთის ტერიტორიაზე ფრიგიელების განსახლების შემდეგ გავრცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული ეგვიპტის ფარაონის მენესის შესახებ?

ა) შემოიღო ახალი ღვთაების ატონის კულტი;

ბ) პირველად გააერთიანა ეგვიპტის სამეფოები;

გ) ააგო პირველი საფეხურებიანი პირამიდა;

დ) დაიპყრო სინას ნახევარკუნძული.

(1) 3. სხვა მიზეზებთან ერთად, ძველ საბერძნეთში არსებულმა რა პირობებმა განსაზღვრა ბერძნული კოლონიზაციის დაწყება ძვ.წ. VIII საუკუნეში?

ა) წყალუხვი მდინარეების სიმრავლემ;

ბ) ძლიერი, ერთიანი სახელმწიფოს არსებობამ;

გ) მიწათმოქმედებისთვის ვარგისი მიწის სიმცირემ;

დ) ბარბაროსთა ტომების შემოსევებმა.

(1) **4. რომელი სამეფოს დამარცხების შედეგად იწყება აქემენიანთა სპარსეთის გაძლიერება?**

ა) ხეთების;

ბ) ურარტუს;

გ) მიდიის;

დ) მითანის.

(1) **5. რომელ სახელმწიფო მოხელეს ევალებოდა რომის მოქალაქეების დაყოფა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით?**

ა) ტრიბუნს;

ბ) კონსულს;

გ) ცენზორს;

დ) პრეტორს.

(1) 6. ქართლის მეფის რა პოლიტიკამ განაპირობა მის სამეფოში რომაელთა ლაშქრობა ძვ.წ. I საუკუნეში?

ა) ურთიერთობამ პონტოს მეფესთან;

ბ) სასანიანთა სახელმწიფოსთან მოკავშირეობამ;

გ) დარიალის გზის გახსნამ მომთაბარე ტომებისთვის;

დ) შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს დაკავებამ.

(1) 7. ვინ იყვნენ კოლონები რომის იმპერიაში?

ა) მიწათმოქმედები;

ბ) სამხედროები;

გ) ვაჭრები;

დ) ზღვაოსნები.

(1) **8. რომელი ინფორმაციაა მართებული სალიკური სამართლის შესახებ?**

ა) ლანგობარდების მიერ მცირედ შეცვლილ რომაულ კანონთა ერთობლიობას წარმოადგენდა;

ბ) ვანდალთა გაქრისტიანების შემდეგ დაიწერა მათი მეფის ბრძანებით;

გ) ალფრედ დიდის ბრძანებით შექმნილი კანონთა კრებული იყო;

დ) ფრანკთა მეფის ხლოდვიგის მმართველობის დროს შეადგინეს.

(1) **9. როგორ ჩამოყალიბდა ნორმანდიის საჰერცოგო X საუკუნის პირველ ნახევარში?**

ა) ინგლისის მეფემ დაქირავებულ ნორმანთა ლაშქარს მუდმივი დასახლების უფლება მისცა;

ბ) ნორმანების ხშირი თავდასხმების გამო ფრანკთა მეფე იძულებული გახდა მათთვის გარკვეული ტერიტორია გადაეცა;

გ) საღვთო რომის იმპერიაში დასახლებულმა ნორმანებმა შეუვალობის უფლება მოიპოვეს;

დ) ნორმანებმა აითვისეს გაუკაცრიელებული ტერიტორია ბალკანეთის სამხრეთში და იქ თავიანთი მმართველობა დაამყარეს.

(1) 10. რომელი პოლიტიკური ერთეული დაამარცხეს სელჩუკებმა ყველაზე ადრე?

ა) ერაყის სასულთნო;

ბ) ბიზანტიის იმპერია;

გ) ისმაილიტების სამთავრო;

დ) ღაზნევიანების სახელმწიფო.

(1) **11. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა დასავლეთ ევროპაში საქალაქო ცხოვრების გააქტიურება XII-XIII საუკუნეებში?**

ა) ასწლიანი ომის დაწყების გამო იარაღსა და საჭურველზე მოთხოვნილების ზრდამ, რასაც ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბება მოჰყვა;

ბ) გლეხთა ომებმა, რამაც სოფლის მოსახლეობა აიძულა თავისი ტრადიციული საცხოვრებელი ადგილები დაეტოვებინა;

გ) ევროპელების მიერ ლევანტის რეგიონის დაკავებამ, რამაც, თავის მხრივ, ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი;

დ) მაღრიბის ქვეყნებში ქრისტიანული მოსახლეობის ზრდამ, რასაც ევროპასთან ურთიერთობის გააქტიურება მოჰყვა.

(1) **12. რა იყო საქართველოში შემოჭრილი სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის ერთ-ერთი მიზანი?**

ა) საქართველოს სამეფოსათვის ხარკის დაკისრება;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოში საამიროს დაარსება;

გ) საქართველოში მომთაბარე ტომების ჩამოსახლება;

დ) სამხრეთ საქართველოში თურქული სანჯაყის შექმნა.

(1) 13. IV ჯვაროსნული ლაშქრობისას რომელი ქალაქის აღებაზე მოგვითხრობს ნიკიტა ქონიატე?

ა) ნიკეის;

ბ) კონსტანტინოპოლის;

გ) ალეპოს;

დ) დამასკოს.

(1) **14. რა იყო 1215 წელს ინგლისში მიღებული თავისუფლების დიდი ქარტიის ერთ-ერთი მიზანი?**

ა) თემთა და ლორდთა პალატების ჩამოყალიბება;

ბ) სამივე წოდების უფლებრივი გათანაბრება;

გ) სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა;

დ) ანგლიკანური ეკლესიის დაფუძნება.

(1) **15. საქართველოში რომელი დამპყრობლის ბატონობის შესახებ მოგვითხრობს ქართველი მემატიანე ჟამთააღმწერელი?**

ა) არაბების;

ბ) ხაზარების;

გ) ოსმალების;

დ) მონღოლების.

(1) 16. სხვა მიზეზებთან ერთად, რომელი სახელმწიფოს დაშლამ შეუწყო ხელი ოსმანს, ჩამოეყალიბებინა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე?

ა) ტრაპიზონის იმპერიის;

ბ) ეგვიპტის სახალიფოს;

გ) იერუსალიმის სამეფოს;

დ) რუმის სასულთნოს.

(1) 17. დინასტიური ქორწინების გზით პირენეს ნახევარკუნძულზე მდებარე რომელი სამეფოების გაერთიანება ითვლება ესპანეთის სამეფოს ჩამოყალიბების დასაწყისად?

ა) კორდობისა და სევილიის;

ბ) არაგონისა და კასტილიის;

გ) ნავარისა და ლეონის;

დ) გრანადისა და კატალონიის.

(1) **18. ვისი შუამავლობით დაიდო ტორდესილასის ხელშეკრულება?**

ა) საღვთო რომის იმპერატორის;

ბ) მსოფლიო პატრიარქის;

გ) ტამპლიერთა დიდი მაგისტრის;

დ) რომის პაპის.

(1) **19. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი ჰუმანიზმისა და რენესანსის დაწყებას იტალიაში?**

ა) დიდი საზღვაო ექსპედიციების ხელმძღვანელები ყოველთვის იტალიელები იყვნენ და ყოველგვარი სიახლე პირველად საკუთარ ქვეყანაში ჩაჰქონდათ;

ბ) ანტიკური ხანის სწავლულთა ტრაქტატები მხოლოდ ეტრუსკულად იყო დაწერილი და ეს ენა ყველაზე კარგად იტალიის მაცხოვრებლებმა იცოდნენ;

გ) ბიზანტიაში შექმნილი რთული ვითარებისა და კონსტანტინოპოლის დაცემის გამო ბიზანტიელ სწავლულთა ნაწილი იტალიაში გადასახლდა;

დ) აპენინის ნახევარკუნძული საღვთო რომის იმპერიის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა და იმპერატორები განსაკუთრებით ზრუნავდნენ მასზე.

(1) **20. რომელი ომი დასრულდა ვესტფალიის ზავით?**

ა) შვიდწლიანი ომი;

ბ) ოცდაათწლიანი ომი;

გ) დიდი თურქული ომი;

დ) კოლონიური ომი აფრიკაში.

(1) 21. ვინ იყო ირანის პირველი შაჰი სეფიანთა დინასტიიდან?

ა) ისმაილ I;

ბ) თამაზ I;

გ) ხუდაბანდე I;

დ) ჰუსეინ I.

(1) **22. რომელი მსჯელობაა მართებული ირან-ოსმალეთის ომების შესახებ?**

ა) ოსმალეთის სულთანმა, სულეიმან I-მა დაამარცხა ირანელები და ამასიის ზავით კავკასიას სრულად დაეპატრონა;

ბ) ირანის შაჰმა, აბას I-მა მმართველობის პირველ წლებში ოსმალეთს დიდი ტერიტორიები დაუთმო, მათ შორის იყო აღმოსავლეთ საქართველოც;

გ) ვენის ბრძოლაში ევროპელებთან დამარცხების შემდეგ ოსმალებმა შეწყვიტეს ომი ირანთან და სადავო პროვინციები შაჰს გადასცეს, რომელთა შორის იყო სამცხე-საათაბაგოც;

დ) ჩალდირანის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ირანელებმა აღიდგინეს კავკასიაში დაკარგული პოზიციები და ოსმალური გარნიზონები საქართველოს ყველა ქალაქიდან განდევნეს.

(1) **23. ვინ მეთაურობდა ქართველებს მარტყოფის ბრძოლაში?**

ა) გიორგი სააკაძე;

ბ) თეიმურაზ I;

გ) გივი ამილახვარი;

დ) ლუარსაბ II.

(1) **24. რომელი მსჯელობაა მართებული XVII საუკუნეში ინგლისში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) სამოქალაქო ომში ჩარლზ I-ის დამარცხების შემდეგ ინგლისის მეფედ ნიდერლანდების მმართველი უილიამ ორანელი გამოაცხადეს;

ბ) ტიუდორების დინასტიის შეწყვეტის შემდეგ ინგლისის ტახტი ჯეიმს სტიუარტმა დაიკავა, რომელიც ამავდროულად შოტლანდიის მეფეც იყო;

გ) ინგლისში პროტესტანტობის აღმოფხვრის მიზნით ესპანელთა ჯარი შეიჭრა, თუმცა ნეიზბის ბრძოლა ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა;

დ) მეფესა და მესამე წოდების წარმომადგენელთა შორის ხანგრძლივი დაპირისპირების დასასრულებლად ინგლისის დამფუძნებელმა კრებამ ლონდონი თავისუფალ ქალაქად გამოაცხადა.

(1) **25. რომელი მსჯელობაა მართებული ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის შესახებ?**

ა) ადგილობრივი თავადების მხარდაჭერით კახეთის ტახტი დაიკავა და აღმოსავლეთ საქართველო გააერთიანა;

ბ) ირანელთა დახმარებით მესხეთის ოსმალთაგან გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ლაშქრობები წარუმატებლად დასრულდა;

გ) რუსეთის იმპერატორთან ერთად ირანის დალაშქვრას აპირებდა, თუმცა იმპერატორმა პირობა არ შეასრულა და მტერთან მარტო დატოვა;

დ) პირველი ქართველი მეფე იყო, რომელმაც დასავლეთ ევროპაში იმოგზაურა და საბოლოოდ საფრანგეთის მეფის კარზე დამკვიდრდა.

(1) **26. რომელი მსჯელობაა მართებული XVIII საუკუნეში მიმდინარე ჩრდილოეთის ომის შესახებ?**

ა) ომის საწყის ეტაპზე შვედებმა უპირატესობა მოიპოვეს და ნარვის ბრძოლაში რუსების ჯარი სასტიკად დაამარცხეს;

ბ) ომი პოლონელთა და ლიტველთა გამარჯვებით დასრულდა და მოსკოვის დიდი მთავარი იძულებული გახდა სმოლენსკი პოლონეთის მეფისათვის დაეთმო;

გ) თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, რუსეთის ჯარი პოლტავის ბრძოლაში მაინც დამარცხდა და ლივონიის რეგიონის შვედეთისათვის დაბრუნება მოუწია;

დ) პოლონეთ-ლიტვისა და ტევტონთა ორდენის გაერთიანებულმა ლაშქარმა რუსეთს შეუტია და ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ყველა ქალაქი დაიკავა.

(1) **27. რომელი ინფორმაციაა მართებული აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობის შესახებ?**

ა) დაამარცხა მექსიკა ომში;

ბ) შეიმუშავა დამოუკიდებლობის დეკლარაცია;

გ) მეთაურობდა ჯარს დამოუკიდებლობისათვის ომში;

დ) შეიძინა საფრანგეთისგან ლუიზიანის ტერიტორია.

(1) **28. რომელი ფაქტია მართებული XVIII საუკუნეში მოღვაწე განმანათლებლის, მონტესკიეს შესახებ?**

ა) შეიმუშავა ხელისუფლების სამ შტოდ დანაწილების თეორია;

ბ) შეადგინა „ბილი უფლებათა შესახებ“;

გ) დაწერა ტრაქტატი „მარადიული მშვიდობისკენ“;

დ) გაშიფრა ძველი ეგვიპტური იეროგლიფები.

(1) 29. რომელი ინფორმაციაა მართებული ნაპოლეონ I-ის საშინაო პოლიტიკის შესახებ?

ა) შემოიღო პრესის ცენზურა;

ბ) გაიყვანა პირველი რკინიგზა;

გ) აღადგინა დამფუძნებელი კრება;

დ) შეზღუდვები დაუწესა პროტესტანტებს.

(1) **30. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა გახდა 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის მიზეზი?**

ა) კონვენტმა ახალი კონსტიტუციის პროექტი უარყო;

ბ) ხელისუფლებამ შეკრებები აკრძალა;

გ) იმპერატორის გვარდიამ გაფიცული მუშები დაარბია;

დ) პრეზიდენტმა გადასახადები გაზარდა.

(1) **31. რა შედეგით დასრულდა პრუსიის ომი ავსტრიასთან 1866 წელს?**

ა) ელზასი და ლოთარინგია ავსტრიას გადაეცა;

ბ) ავსტრიამ დაიბრუნა ჰანოვერი და ფრანკფურტი;

გ) სამხრეთ გერმანული სამთავროები პრუსიას შეუერთდა;

დ) გაძლიერდა პრუსიის პოზიციები ჩრდილოეთ გერმანიაში.

(1) **32. რომელი ინფორმაციაა მართებული 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგების შესახებ?**

ა) რუსეთს გადაეცა ბათუმი და ყარსი;

ბ) არტაანი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად;

გ) ოსმალეთს დაუბრუნდა შავშეთი და კლარჯეთი;

დ) უცვლელი დარჩა ომამდე არსებული საზღვარი.

(1) **33. რომელი ინფორმაცია *<u>არ არის მართებული</u>* 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ძირითადი დებულებების შესახებ?**

ა) საგარეო შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქვეყანა აცხადებდა ნეიტრალიტეტს;

ბ) დაცული იქნებოდა ყველას უფლება განურჩევლად სქესისა და რელიგიური კუთვნილებისა;

გ) სხვა ერებს ექნებოდათ განვითარების ყველა პირობა და ეყოლებოდათ წარმომადგენლები ეროვნულ საბჭოში;

დ) სახელმწიფო წყობილების ფორმად ცხადდებოდა საპრეზიდენტო მმართველობა.

(1) **34. რა იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს დელეგაციის მიზანი?**

ა) მარშალის გეგმაში ჩართვა;

ბ) საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება;

გ) დამარცხებული ოსმალეთისგან კონტრიბუციის მიღება;

დ) იუდენიჩის მიერ დაკავებული სოხუმის ოკრუგის დაბრუნება.

(1) **35. რომელი მსჯელობაა მართებული XX საუკუნის 30-იანი წლების სტალინური რეპრესიების შესახებ?**

ა) არ შეხებია კომუნისტური პარტიის სამსახურში მყოფ სახელმწიფო მოხელეებსა და თანამდებობის პირებს;

ბ) მხოლოდ ეთნიკური ნიშნით ხორციელდებოდა და ხელისუფლება იყენებდა მცირერიცხოვანი ხალხების წინააღმდეგ;

გ) საზოგადოების ყველა ფენას შეეხო, რასაც მათი უკმაყოფილება და საბოლოო ჯამში ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა;

დ) ერთ-ერთი მიზანი იყო ძველი თაობის ბოლშევიკების ჩანაცვლება ახალი თაობის ერთგული კადრებით.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ

შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. რა ეწოდებოდა ოფიციალურად რუკაზე მწვანე ფერით აღნიშნულ სახელმწიფოს?**

ა) საქართველოს კონფედერაციული რესპუბლიკა;

ბ) საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა;

გ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;

დ) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

(1) **36.2. რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა შეგვიძლია ვთქვათ ბოლშევიკების შესახებ?**

ა) ეხმარებოდნენ ლურჯად აღნიშნულ სახელმწიფოს სამხედრო მოქმედებებში;

ბ) ცდილობდნენ დაეკავებინათ ბრიტანელთა კონტროლირებადი ტერიტორია;

გ) მოქმედებდნენ მწვანე ფერით აღნიშნულ სახელმწიფოში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ;

დ) დროებით დაიკავეს ქალაქი გორი.

(1) **36.3. რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოსთან ჰქონდა სამხედრო კონფლიქტი მწვანედ აღნიშნულ სახელმწიფოს თავდაპირველად?**

ა) რუსეთთან;

ბ) სომხეთთან;

გ) თურქეთთან;

დ) აზერბაიჯანთან.

(1) **36.4. რუკის მიხედვით, რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) მწვანედ აღნიშნული სახელმწიფოს ჯარმა ბოლნისთან გამარჯვება მოიპოვა და წითლად აღნიშნული ტერიტორია ხელახლა დაიკავა;

ბ) ლურჯად აღნიშნული სახელმწიფოს ჯარმა წარმატებას მიაღწია და ქალაქი ახტალა დაიკავა, თუმცა მათი მომდევნო შეტევა წარუმატებლად დასრულდა;

გ) მწვანედ და ლურჯად აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის გამართული საომარი მოქმედებების შედეგად ქალაქი ახალციხე ნეიტრალურ ზონაში მოექცა;

დ) მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს ჯარმა შეძლო ახალქალაქზე კონტროლის აღდგენა და ლურჯად აღნიშნული სახელმწიფოს ჯარის ქალაქიდან განდევნა.

(1) **36.5. რა ეწოდებოდა მწვანე და ყვითელ ფერებში დაშტრიხულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც, რუკის მიხედვით, სადავო ტერიტორიას წარმოადგენდა მწვანედ და ყვითლად აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის?**

ა) ზაქათალის ოკრუგი;

ბ) ელიზავეტპოლის გუბერნია;

გ) ბორჩალოს მაზრა;

დ) ყარსის ოლქი.

(1) **36.6. რუკის მიხედვით, რომელ ქალაქს აკონტროლებდა მწვანედ აღნიშნული სახელმწიფო, რომელიც დღეს *<u>არ შედის</u>* საქართველოს შემადგენლობაში?**

ა) რიზეს;

ბ) თორთომს;

გ) ოლთისს;

დ) არტაანს.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1. კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2. და 37.3. დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4. დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

1814-1815 წლებში გაიმართა ვენის კონგრესი.

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ ამ კონგრესის მოწვევის ერთი კონკრეტული პოლიტიკური მიზეზი.

(1) **37.2.** კონკრეტულად ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ამ კონგრესის გადაწყვეტილებები დადებითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **37.3.** კონკრეტულად ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ამ კონგრესის გადაწყვეტილებები უარყოფითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **37.4.** დაასახელეთ ანალოგიური მოვლენა XIX საუკუნის ევროპის ისტორიაში. მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავით IV აღმაშენებელი

საქართველო ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს, მაგრამ მარტო დარჩენილი და ყოველი მხრიდან სელჩუკებით გარშემომდგარი, ამასთან შინა უთანხმოებებით დასუსტებული ქვეყანა დამარცხდა მტერთან ბრძოლაში.

დავითმა ნელ-ნელა შეადგინა ერთგული სამხედრო რაზმები, რომელნიც ძირითადად წვრილი აზნაურებისაგან შედგებოდა. დავითის რაზმები გუნდ-გუნდად დაყოფილნი თავს ესხმოდნენ ქართლში თურქებს, ერეკებოდნენ მათ და გაქცეულ და აყრილ მოსახლეობას დაბრუნებისა და მეურნეობის აღდგენის საშუალებას აძლევდნენ.

თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცება და ურჩი ფეოდალების სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობისათვის დაქვემდებარება. ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლა არ შეიძლებოდა მხოლოდ საერო ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლით შემოფარგლულიყო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის ადგილს და მის მდგომარეობას სახელმწიფოში. საქართველოს საბოლოო გაერთიანება და ერთიანი ცენტრალური მმართველობის დამყარება ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილებას გულისხმობდა.

მთელი ქართული ჯარი დავით აღმაშენებელმა ძირითადად სამ ნაწილად გაყო. ერთ ნაწილს მეფის გვარდია, მონა-სპა წარმოადგენდა; მეორე ნაწილს მეციხოვნენი შეადგენდნენ, რომელთა მოვალეობას ციხე-ქალაქების გამაგრება შეადგენდა; ხოლო მესამეს - საკუთრივ მოლაშქრეები, რომელნიც, დავითის

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ისტორიკოსის სიტყვით, იყვნენ „დაუცხრომლად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.

დავითის პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხელისუფლების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც ემსახურებოდა ყველა მისი ღონისძიება. ურჩი ფეოდალების მამულების და მტრისაგან გაწმენდილი ქართული მიწების, ასევე ამიერკავკასიის: სომხეთისა და შარვანის მიწა-წყლის უშუალოდ მეფის ტახტისათვის დაქვემდებარება და სხვა საშინაო ღონისძიებანი.

ურთიერთობის განსხვავებული ფორმა შეიმუშავა დავით აღმაშენებელმა იმიერკავკასიის მიმართ. იმ დროს, როდესაც თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლებული ამიერკავკასიის მიწა-წყალი მან უშუალოდ შემოუერთა საქართველოს, იმიერკავკასიის, კერძოდ, ოსთა მფლობელებთან ურთიერთობა მან ყმადნაფიცობის პრინციპზე დაამყარა. ასევე ყმადნაფიცობის პირობით შემოიმტკიცა ლეკნი და ჩრდილო კავკასიის სხვა მკვიდრნიც. აღნიშნული გარემოება, პირველ რიგში, საქართველოს ჩრდილო საზღვრის გამაგრების საქმეს ისახავდა მიზნად.

დავით IV თავისი დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი იყო, მას შეთვისებული ჰქონდა ქართული საერო და სასულიერო მწერლობა, იცნობდა აგრეთვე აღმოსავლური და ანტიკური მწერლობის ძეგლებს. იცოდა არაბული და სპარსული ენები, კარგად იცნობდა როგორც მართლმადიდებლური, ასევე გრიგორიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების ნორმებს.

დიდგორის ველზე 1121 წლის 12 აგვისტოს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დავით მეფე არ დაკმაყოფილდა ბრძოლის ველზე

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

მოპოვებული გამარჯვებით, ქართველებმა ფეხდაფეხ სდიეს უკუქცეულ მტერს, და უკვე მათ მიერ დაკავებულ მიწა-წყალზე ანადგურებდნენ მტრის უკანასკნელ რაზმებს. თურქ-სელჩუკთა ზარალი საგრძნობი იყო. ქართველებმა შედარებით მცირე მსხვერპლით შეძლეს ამ დიდი წარმატების მოპოვება. უდიდესი იყო ნადავლი: იარაღ-საჭურვლის, ძვირფასი ნივთების, ტყვეების, სამხედრო დროშებისა და სხვათა სახით.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

დიდგორის ბრძოლის შემდეგ დავითმა გეზი თბილისისაკენ აიღო, ქალაქის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თბილისის მოსახლეობა უბრძოლველად არ თმობდა ქალაქს. ქართველთა ლაშქარმა 1122 წელს დიდი ბრძოლის შემდეგ თბილისი აიღო.

დავით IV აღმაშენებელს არ დასცალდა თავისი გეგმების სრული განხორციელება, ის გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს 52 წლის ასაკში.

მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III. თბ. 1979 წ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** მოცემული ტექსტის მიხედვით, რისი საშუალება ეძლეოდა აყრილ მოსახლეობას საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემდეგ?

(1) **38.2.** მოცემული ტექსტის მიხედვით, ვის ევალებოდა, წელიწადის დროების მიუხედავად, მუდმივად ბრძოლა?

(1) **38.3.** ტექსტში არსებული რა კონკრეტული ინფორმაცია მიუთითებს, რომ დავით მეფეს შესაძლოა სცოდნოდა ბერძნული ენაც? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **38.4.** რომელი სარწმუნოების ნორმების გასაცნობად აუცილებლად დასჭირდებოდა მეფეს არაბული ენის ცოდნა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** მოცემული ტექსტის მიხედვით, რა უბრძანა დავით მეფემ ქართველთა ჯარს დიდგორის ველზე გამარჯვებისთანავე?

(1) **38.6.** თქვენი აზრით, რატომ არ სურდა თბილისის მოსახლეობას დამორჩილებოდა დავით მეფეს?

(2) **38.7.** მოცემული ტექსტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რა მიზეზებმა განაპირობა საქართველოს მარცხი სელჩუკებთან ბრძოლაში დავით IV-ის გამეფებამდე.

(2) **38.8.** მოცემული ტექსტის მიხედვით, დაასახელეთ ორი ფაქტორი, რომლებიც საჭირო იყო ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** მოცემული ტექსტის მიხედვით, „მტრისაგან გაწმენდილი ქართული მიწების“ გარდა, სრულად ჩამოთვალეთ, რა ტერიტორიები ექვემდებარებოდა უშუალოდ მეფეს.

(2) **38.10.** მოცემული ტექსტის მიხედვით, რა სახის ურთიერთობის ფორმა შეიმუშავა მეფემ იმიერკავკასიის მცხოვრებთათვის და რას ისახავდა მიზნად ეს ურთიერთობა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე